პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№66 (5096)

1974 წ. 3 აპრილი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



,,გაუმაძღარი მუშკეტერი"

ასე მონათლეს ფარიკაობის მინსკელი ჯადოქარი ვიქტორ ხოდიაკი მოფარიკავეებმა. მართლაც, ფარიკაობას, განსაკუთრებით ხმლით ფარიკაობას, ბევრი დიდოსტატი უნახავს, მაგრამ ვიქტორმა ყველანაირი ზევარსკვლავიც კი დაჩრდილა. მან რამდენიმე წლის განმავლობაში მოიპოვა ნაირნაირი ჯილდოები მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში. იგი იყო მსოფლიოს და მიუნპენის ოლიმპიადის ჩემპიონი, სსრ კავშირის თასის მფლობელი და ჩემპიონი (ვგულისხმობ პირად ტურნირებს)... ვფიქრობთ, ეს ჩამოთვლაც საკმარისია, რათა თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ამ სპორტსმენის არცთუ დიდი ხნის შთამბეჭდავი სპორტული ბიოგრაფია.

როცა „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტმა მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონს, იტალიელ მონტანოს ჰკითხა, ვინ მიგაჩნიათ თქვენს მთავარ მეტოქედო, მან უყოყმანოდ უპასუხა სიდიაკო. დიახ, დღეს სიდიაკს ბადალი არ ჰყავს ესპადრონისტთა შორის. იგი შეიძლება ჩაითვალოს ყველა დროის ყველაზე ხწორუპოვარი მოფარიკავის ეეი პავლოვსკის მემკვიდრედ, მაგრამ თავის წინამორბედს სიდიაკი მიზანსწრაფულობითა და „გაუმაძღრობით" უსწრებს კიდეც.

რას ნიშნავს ეს? სიდიაკისთვის არ არსებობს დიდი და პატარა ტურნირები. იგი ყველგან ერთნაირი მონდომებით, შემართებითა და, თუ შეიძლება ითქვას, თავგამეტებითაც კი იბრძვის. ამას ადასტურებს ისიც, რომ მოკლე ხანში ზედიზედ სამი მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგო: სსრ კავშირის თასი, „მოსკოვის ხმალი" და ვოლოდიევსკის თასი.

ახლა კი სიდიაკი ხმალს ლესავს მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც დარტანიანის სამშობლოში გაიმართება.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ვ. სიდიაკი.

ფეხბურთი

4:0 0:0 5:0

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში კიშინიოვში 1960 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა საინტერესო შეჯიბრება მიეწყო: მოლდავეთში საბჭოთა ხელისუფლების დაძყარების 50 წლისთავს ეიეძღვნა საქალაქთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი (2 გუნდი), ლენინგრადელი, ტალინელი, მინსკელი და თბილისელი ფეხბურთელები. თბილისის სპორტულ სახელს მოლდავეთის დედაქალაქში იცავდა განათლების განყოფილების გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები თ. კუბლაშვილი და ჟ. ბოკუჩავა.

შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. თბილისელებმა დაამარცხეს კიშინიოვის „ნისტრუ" — 4:0, ფრედ ითამაშეს მინსკელებთან — 0:0 და გავიდნენ ფინალში, სადაც მათი მეტოქე იყო ტალინის „კალევი". გადამწყვეტ მატჩში თბილისელებმა საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი, გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0 და დაეუფლნენ მთავარ პრიზს.

ტურნირში დაწესებული იყო ჯილდოები საუკეთესო მოთამაშეთათვის. ჩვენებმა ამ მხრივაც ისახელეს თავი: უძლიერეს ნახევარმცველად აღიარეს ნ. კაკილაშვილი, თავდამსხმელად — მ. ბავთასი. საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მიიღო უ. ცქვიტინიძემ, რომელმაც სამ მატჩში 5 გოლი გაიტანა.

ამგვარი ტურნირები სხვადასხვა ქალაქის გუნდების მონაწილეობით ძალიან სასარგებლოა ნორჩ ფეხბურთელთათვის, ხელს უწყობენ მათი ოსტატობის ზრდას. კიშინიოვის „ნისტრუ" ამას წინათ რუმინეთში იყო, სადაც I ადგილი დაიკავა. უცხოეთში საერთაშორისო მატჩები ჩაატარეს ბელორუსიელმა ჭაბუკებმაც. არ იქნებოდა ურიგო, თუ თბილისიც აიღებდა თავის თავზე მნიშვნელოვანი მასშტაბის ტურნირის მოწყობას.

რ. ჟორიჟე.

* * *

სურათზე: კიშინიოვის ტურნირში გამარჯვებული თბილისის განათლების განყოფილების გუნდი.

შ. ნოშრევანიძის ფოტო.

ზღვიდან მოფრენილი პირველი მარცხანი

სპორტში მოულოდნელი შედეგი დღეს უკვე აღარავის აკვირვებს, მაგრამ შემთხვევას, რომელიც ამას წინათ სოჭში აფროსანთა საკავშირო თასის გათამაშების დროს მოხდა, თამამად შეიძლება უჩვეულო ვუწოდოთ. ჯერ ის ითქვათ, რომ ჩვენმა გუნდმა ამ შეჯიბრებაში მოხაწილეობის უფლება ვერ მიიღო, სოხუმელი ა. ახუბა კი სტარტზე საქართველოს სპორტკომიტეტისა და შესაბამისი ფედერაციის შუამდგომლობით დაუშვეს.

სოჭის პორტში ვარჯიშის დროს სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმა და პრიზიორებმა მხოლოდ გამოუცდელი მატროსის გამო მიაქციეს ახუბას ყურადღება (სოჭში ახუბას მატროსი საპატიო მიზეზით ვერ ჩავიდა). მაგრამ დაიწყო შეჯიბრება და დაიწყო ფავორიტთა გაოცებაც: ახუბა თავისი „კატამარანითა" და ახალბედა მატროსით სამ დღეს ლიდერობდა. ფავორიტთა გაოცებამ კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როცა დიდი სიჩქარის დროს (70-80 კმ საათში) გაუწაფავი მატროსი ზედიზედ ორჯერ გადავარდა ზღვაში და ორივეჯერ ახუბამ დაიბრუნა „კატამარანზე" პარტნიორი.

წყლიდან მატროსის ამოსაყვანად დაკარგული ძვირფასი წუთების მიუხედავად, ახუბა შემთხვევის დღეს მაინც პირველი მიიკრა ფინიშთან.

სამწუხაროდ, ეს არ იყო შეჯიბრების ბოლო აკორდი. ჩასატარებელი რჩებოდა კიდევ რამდენიმე მომქანცველი რბოლა და ახუბა საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა, რაც ცუდი შედეგი როდია. სოხუმელი სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს, რაც პირველი შემთხვევაა ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის ისტორიაში.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი ნ. დუმბაძე) მსმენელმა ა. ახუბამ აფროსნობაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი (მანამდე საზღვაო მრავალჭიდში მიიღო ეს წოდება). იგი პირველი სპორტის ოსტატია საქართველოში „კატამარანზე".

ახლა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს და სოხუმის სპორტის მესვეურებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ახუბას და მისი ამხანაგების მიმართ.

თ. თანგოშვილი.



● ალჟირი, 1 აპრილი. მრავალდღიან ველორბოლაში „ქალაქ ანაბის დიდ პრიზზე" ყველას აჯობა საბჭოთა გუნდმა. ბოლო ეტაპი (45 კმ) ლავრუშკინმა მოიგო — 1:15.13. მანვე გაიმარჯვა „დამოუკიდებლობის დიდ პრიზზე" შეჯიბრებაში. საბჭოთა გუნდის დროა 58:37.57. II ადგილზე გავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტები, III — უნგრელები. საერთო ჩათვლაში საუკეთესო იყო გორელოვი — 19:26.47. II ადგილზე გავიდა სიტნიკი (19.29.35), ხოლო III — ლავრუშკინი (19:29.59).

● ნოიბრანდენბურგი, 1 აპრილი. გდრ-ის ამ ქალაქში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ყველას აჯობეს მსოფლიო ჩემპიონებმა — იუგოსლავიის წარმომადგენლებმა. II-III ადგილები გაიყვეს გდრ-ისა და უნგრეთის ნაკრებმა გუნდებმა. სსრ კავშირის ხელბურთელებმა ასპარეზობის ბრლო დღეს ანგარიშით 16:7 (11:3) სძლიეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს, მაგრამ მხოლოდ IV ადგილს დასჯერდნენ.

,,ეკვი ეკვი"

სტინ კაიგერის მიღწევას „გაუსწრო"

ალმა-ათა, 1 აპრილი. ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზის ტრადიციულ, რიგით XX გათამაშებაში მოასპარეზე გორკელმა მოციგურავე ტ. ავერინამ მედეის მაღალმთიან სარბიელზე საკავშირო რეკორდი დაამყარა 500 მეტრზე რბენაში (42,20 წამი), ხოლო 1500-მეტრიან მანძილზე მისი შედეგი — 2.14,0 — ჰოლანდიელი ს. კაიზერის მსოფლიო რეკორდზე უკეთესია.

45 კილომეტრით მეტი იფრინა

ალანმროსკომ (ყირიმის ოლქი), 2 აპრილი. ავიამოდელისტთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ყაზანელი ინჟინრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ლ. სალდოშინის რადიოსამართავმა მოდელმა დახშული მარშრუტით 503 კმ იფრინა. ეს 45 კილომეტრით მეტია ამერიკელი ა. სმიტის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე.

როცა ვადა ამოიწურა...

ჟენევა, 1 აპრილი. 31 მარტს შუაღამისას ამოიწურა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის განაცხადების გაგზავნის ვადა და 1980 წლის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის პრეტენდენტთა სიაში არაფერი შეცვლილა. აქ კვლავინდებურად ორი კანდიდატია: მოსკოვი და ამერიკის ქალაქი ლოს-ანჯელესი.

სამაგიეროდ, 1980 წლის „თეთრი ოლიმპიადის" მასპინძლობის სურვილი ლეიკ-პლესიდისა (აშშ) და ვანკუვერის (კანადა) გარდა შამონიმაც (საფრანგეთი) გამოთქვა.

ახლა ყველაფერი ოქტომბრის დამლევს გადაწყდება ვენაში, სადაც სოკ-ი თავის სესიაზე დაასახელებს 1980 წლის ორივე ოლიმპიადის ჩატარების ადგილებს.

მიეძღვნა უშინსკის იუბილეს

გამოჩენილი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის გამოკვლევებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. კ. უშინსკი სამართლიანად ითვლება რუსული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებლად. ამიტომ ახლა მთელს საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება კ. უშინსკის დაბადების 150 წლისთავი. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიმართა. იქვე მოეწყო კ. უშინსკის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის გამოფენა.

სესია გახსნა ინსტიტუტის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ, დოცენტმა შ. ბუაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფესორები გ. ნიკოლაიშვილი („კ. უშინსკი და თანადროულობა"), ვ. ნორაკიძე („კ. უშინსკი ნებისყოფისა და ხასიათის შესახებ"); დოცენტები ა. ციბაძე („კ. უშინსკი ფიზიკური აღზრდის შესახებ"), კ. კვაკაძე („კ. უშინსკის მოძღვრების მნიშვნელობა ქართული პედაგოგიური ზროვნების განვითარებისთვის") და ე. ქარცივაძე („კ. უშინსკი სკოლამდელთა აღზრდის შესახებ").

სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

რ. ჩხარტიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ლაბორატორიის გამგე.

ქობულეთელთა შრომის ფერხული

ტრადიციის მოთავენი ● ესტაფეტა მიაქვს ახალგაზრდობას ● ტემპს აჩქარებენ მშდ კომპლექსი და სპარტაკიადა ● შედეგებს ალმასკომი შეაჯამებს ● იწონებენ მიმართვას, ილებენ ვალდებულებებს

ქობულეთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. მეავანაძემ და „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ო. ლექავამ ამ თანამდებობებზე დიდხანს იმუშავეს. მათი თავკაცობით დაადგა მასობრიობის გზას რაიონის ფიზკულტურული მოძრაობა. ქობულეთელმა სპორტსმენებმა აჭარაში მოწინავის სახელი დაიგდეს. ისინი არც რესპუბლიკური და საკავშირო სარბიელიდან ბრუნდებოდნენ სირცხვილნაჭამი.

ერთი სიტყვით, ორი ათეული წლის მანძილზე შეიქმნა ის მდიდარი სპორტული ტრადიცია, ურომლისოდაც ძნელია შემდგომ წინსვლაზე ფიქრი. ამიტომაც არ შეიძლება არ გავიხსენოთ ამ ტრადიციების მოთავეები...

იმ დღეს ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტში რომ შევიარეთ, ი. მეავანაძისა და ო. ლექავას მაგიდებთან ჩვენთვის უცხო ახალგაზრდები ისხდნენ (მერამდენე წელია ორი ორგანიზაცია — ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი და „კოლმეურნის“ რაიონული საბჭო ერთ ვიწრო ოთახშია მოთავსებული).

ვეტერანი მუშაკებისგან ესტაფეტა ენერგიულ, საქმისთვის თავდადებულ ახალგაზრდებს ჯ. არობელიძესა და თ. ხოფერიას მიუღიათ.

არობელიძე იმ საღამოს პარტიის რაიკომის დავალებით რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1974-75 წლებისა და მომავალი ხუთწლედის პერსპექტიული გეგმის შედგენას ამთავრებდა. ამ გეგმაში შეტანილი ყველა ღონისძიება ერთ საერთო მიზანს — ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებას ემსახურება.

ახალგაზრდებს ჯერ კიდევ ბევრი რჩევა-დარიგება ჭირდებათ გამოცდილი მუშაკებისგან. ასეთ დროს უმცროს მეგობრებს ისევ ი. მეავანაძე და ო. ლექავა უდგანან მხარში.

მეავანაძემ იმ დილითაც შემოიარა კომიტეტში.

— გიხარია, როცა იცი, რომ საქმე, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე თავდადებით ემსახურებოდი, ახლაც საიმედო ხელშია, — გვითხრა რაიონის ფიზკულტურელთა ყოფილმა თავკაცმა. მერე, ჩვენი განზრახვა რომ შეიტყო, კომიტეტის თავმჯდომარეს შესთავაზა: შენ ნუ მოსცდები საქმეს, სტუმარს ფიზკულტურულ კოლექტივში მე გავყვებიო.

ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლას ვეწვეთ. სასწავლებლის შენობა საექსპლოატაციოდ წლეულს გადაუციათ. ეს სკოლა საჩვენებელია მთელს რაიონში არა მარტო ახალი კაბინეტ-ლაბორატორიებით, არამედ სპორტული ბაზებითაც. საკმარისია ითქვას, რომ მის ეზოს ჩინებული 25-მეტრიანი საცურაო აუზიც ამშვენებს.

დღის ბოლოს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის რაიონის მზადების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომას დავესწარით. ამ სხდომაზე აშკარად გამოჩნდა, რომ ფიზკულტურა და სპორტი რაიონში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნიათ. დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას მშდ ფიზკულტურული კომპლექსისა და სსრ კავშირის ხალხთა მომავალი, VI სპარტაკიადისთვის ნაყოფიერად მზადებაც ხელს უწყობს...

საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ნაკრები გუნდების მწვრთნელები და იქვე მოისმინა მათი ინფორმაციები მუშაობის პირობების გაუმჯობესებისთვის დასახულ ღონისძიებებზე. საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. წულუკიძე უდგას სათავეში, ბევრ საკითხში სადირექტივო გადაწყვეტილებები მიიღო.

აქვე გავიცანით ქობულეთელ ფალავანთა აღმზრდელი, შესანიშნავი სპეციალისტი ვ. გავროზაშვილი. მისი ხელმძღვანელობით რაიონის მოჭიდავეებმა სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებში ბევრ სასახელო წარმატებას მიაღწიეს. წლეულს ამაგდარ მწვრთნელს ცენტრალურ სტადიონზე ორი დიდი ოთახი გამოუყვეს და ახლა მის ჯგუფში ჭიდაობის საიდუმლოებას უწინდელზე ორჯერ მეტი ახალგაზრდა ეუფლება.

სპორტის პირველი პროპაგანდისტი თვით მწვრთნელი რომ უნდა იყოს, ამას ჩაქველი მასწავლებლის რ. ბასილიას საქმიანობაც ამტკიცებს. ათი წლის მანძილზე ბასილიამ ბევრი კარგი ძალოსანი აღუზარდა აჭარის ნაკრებს. საქმისადმი მწვრთნელის დიდი სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა — სექციას კულტურის სახლში მისცეს ბინა.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და განათლების ორგანოები დიდად ზრუნავენ ფიზკულტურული კოლექტივებისთვის. ბევრგან აშენდა ახალი და შეკეთდა ძველი სპორტული ბაზები. ახალგაზრდებმა სოფლის თავკაცების მხარდაჭერით კარგი მოედანი მოაწყვეს წყავროკასა და დაგვაში. ჯანთლების რაიონული განყოფილების თაოსნობით ლეღვის საშუალო სკოლას სპორტული დარბაზი მიუშენეს. ქობულეთში წლეულს დაიწყება ტირის მშენებლობა.

სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის ერთთვიურთან დაკავშირებით შემუშავებულია სპეციალური ღონისძიებები, ერთთვიურის შედეგებს რაიონული საბჭოს აღმასკომი შეაჯამებს. ამ ღონისძიების დაწყებამდე მასობრივი ზრუნვის ობიექტად გამოცხადებული იყო რაიონის ცენტრალური სტადიონი. ამ ბაზის კეთილმოწყობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მე-2 საშუალო სკოლის, პროფტექნიკური სასწავლებლისა და ავტოსატრანსპორტო კონტორის კოლექტივებმა. ენთუზიასტებს შრომაში პირადად აძლევდნენ მაგალითს ჯ. არობელიძე, თ. ხოფერია და კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი თ. ჯაფარიძე.

ქობულეთელ სპორტსმენებს დიდ დახმარებას უწევენ აჭარის სპორტკომიტეტი და „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო. აჭარის სპორტკომიტეტმა შარშან რაიონს საჩუქრად გადასცა საჭიდაო ლეიბები, რომლებიც გადაეზავნა სოფელ ხალის კოლმეურნეობას, სადაც სპორტის ოსტატი რ. ხალვაში საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს ახალგაზრდებს.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში გულდასმით გაეცნენ გარდაბნის რაიონის ვარკეთილის ლენინის ორდენოსანი მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა და მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივების ვალდებულებებს და მიმართავს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი. ქობულეთელებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს შესანიშნავი თაოსნობა და თვითონაც გადაწყვეტეს მხარი აუბან ენთუზიასტებს.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, რომ ქობულეთის რაიონის სპორტულ წარმატებებში მთავარი დამსახურება სწორედ სოფლის სპორტსმენებს მიუძღვით. დაწვრილებით ამ წარმატებებზე აქ ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნაც, რომ შარშან აჭარის სოფლის სპორტსმენთა II თამაშებში ქობულეთელმა კოლმეურნეებმა I გუნდური ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვეს. ასეთივე წარმატება ხვდათ მათ სპორტის ეროვნულ სახეობებშიც.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქობულეთი.

XXIV ყაზიდროხის ჭაჭანაყვეტილიჭაჭის ტოპეულეჯაში

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენ ვიმეორებ ★ ჩემპიონობას

სპორტული კომპლექსი... ზღვაში

თევზმჭერი ტრაულერის „ექემაიტის“ ზედა გემბანზე თავისებური სტადიონი მოაწყვეს მისი ეკიპაჟის წევრებმა. როგორც კი საზღვაო „ალობის“ შემდეგ გემბანი გაიცლება, ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულები დგამენ ფიცარნაგს, აწყობენ სარბიელს სიგრძეზე ხტომისთვის, ტირს, დგამენ ღერძს... ერთ-ერთი კაიუტა მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს ეთმობათ.

ეკიპაჟმა თავისი სპორტული კომპლექსი გამოიყენა და „პატარა სპარტაკიადა“ ჩაატარა.

კოლექტივში ბევრი გამოცდილი სპორტსმენია. ისინი ტრაულერზე მწვრთნელებისა და შეჯიბრების ორგანიზატორთა როლში გამოდიან. ესენი არიან სპორტის ოსტატები, მოტორისტი, ლიტვისა და კლაიპედის მრავალგზის ჩემპიონი უმჩატესი წონის ძალოსანთა შორის ა. ნაუსედა. და სიმაღლეზე მხტომელი გ. ეფრემოვი. ოსტატებს ეხმარებიან პირველთანრიგოსანი სპორტსმენები, კაპიტნის მესამე თანაშემწე, ფრენბურთელი ვ. ლობოდა და მოშაშე ა. კისელიუსი.

მშდ კომპლექსის ნორმატივების მიღება კომისიის თაოსნობით, მეთევზეთა ნაწილმა უკვე შეასრულა ახალი კომპლექსის მოთხოვნები რეისის დროს. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მთელი ეკიპაჟი მონაწილეობდა.

კლაიპედა.

ჯანმრთელობისთვის ზრუნვა საზოგადოებრივი საქმეა

ტრესტ „აპატიტსტროიში“ შეიქმნა ჯანმრთელობის საბჭო, რომელშიც შედიან ექიმები, სპორტსმენები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

— ჩვენს ტრესტში ჯანმრთელობის საბჭოს შექმნა სავსებით კანონზომიერია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს „აპატიტსტროის“ მმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ეგოროვმა. — ჩვენ უკვე შვიდი წელია არ ვთმობთ სსრ კავშირისა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ დროშას, რომელიც იმიერპოლარეთის მკაცრ პირობებში საუკეთესო მუშაობისთვის მივიღეთ. ტრესტის შრომითი დიდების ოთახში კარგი შრომისთვის მიღებული ჯილდოების გვერდით სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული თასებიც გვაქვს გამოფენილი. ჩვენთან გაიზარდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი მუხაროვა, მძლეოსანი ლაპშინი და სხვები. ჰოკეისტებმა სამჯერ მოიგეს ტრადიციული მატჩი „ჩრდილოეთის ციალის“ პრიზზე. მათ დამარცხებული ჰყავთ ფინეთისა და შვეიცის გუნდები. ფეხბურთელებმა მურმანსკის ოლქის თასი დაისაკუთრეს.

ჯანმრთელობის საბჭო ტრესტის მუშა-მოსამსახურეებს დიდ დახმარებას უწევს შრომის დაცვაში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ მომსახურებასა და დასვენების ორგანიზაციაში.

ტრესტში სპორტს, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებას დიდი ყურადღება ექცევა. მთელი წლის მანძილზე ღიაა მუშებისა და მოსამსახურეებისთვის დასვენების სახლი „იმანდრა“. დამსვენებელთა განკარგულებაშია სტადიონი წიდოვანი ბილიკებით, საფეხბურთო მინდვრით, კალათბურთის, ფრენბურთისა და რუსული რიკაობის მოედნებით, საჩოგბურთო კორტით, და გასაკვირი არ არის, რომ უკვე ოთხი ათასამდე მშენებელმა ჩაბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები.

მურმანსკი.



ტალინის № 6 პროფტექნიკურ სასწავლებელში ტექნიკური შემოქმედების ერთ-ერთი უყველაზე პოპულარული სახე კარტების კეთებაა. ახალგაზრდები თვითონ აგებენ კარტებს, თვითონ ცდიან მათ და შეჯიბრებებშიც მონაწილეობენ.

ე. ტარკპეის ფოტო.

ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც

ამას წინათ ტალინში ჩატარდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა საზოგადოების რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე: უკრაინის წარმომადგენლები კოლჩინსკი და ძმები დავიდიანები, ყაზახეთის სპორტსმენები რეზანცევი და ბიკოვი, საქართველოს ათლეტები გოგლიჩიძე, ლეჟავა, სალაძე. ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ტურნირის საბოლოო შედეგებზე. მაგალითად, უკრაინის ძლიერი გუნდი IV ადგილზე დარჩა, საქართველოს ნაკრები კი ქულით ჩამორჩა II ადგილზე გასულ ყაზახეთის კოლექტივს. გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა.

მაგრამ შეჯიბრების საბოლოო შედეგებით კმაყოფილი აღმოჩნდნენ როგორც უკრაინის, ისე საქართველოს მწვრთნელები. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, ვინაიდან ორივე ნაკრებმა ასპარეზი მთლიანად ახალგაზრდებს დუთმო.

ბევრ წონითს კატეგორიაში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გამოცდილი ოსტატები ავიდნენ. მათგან უნდა დაეასახელოთ ე. სულთანგალიევი (ყაზახეთი), ვ. კონსტანტინოვი (რსფსრ), ჯ. მეგრელიშვილი (საქართველო), ვ. უმეროვი (უკრაინა), ა. კოჩნევი (რსფსრ). გაცილებით უფრო გაუჭირდათ I ადგილებზე გასვლა ნ. ალიევს (აზერბაიჯანი), ძმებს ნაზარენკოებს (ყაზახეთი), ხ. პილუსტეს (ესტონეთი) და ა. მაისურაძეს (საქართველო), ვინაიდან ამ წონებში ძლიერი მოჭიდავეები გამოდიოდნენ.

საქართველოს მოჭიდავეებმა, როგორც უკვე ვთქვით, III საპრიზო ადგილი დაიკავეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამ წონაში (48 კგ, 82 კგ და მძიმე) ჩვენს გუნდს მოჭიდავეები არ ჰყავდა, სამაგიეროდ, ზოგიერთ წონაში რამდენიმე ათლეტი გამოიყენა. საბოლოო ჯამში რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ვ. ბლაგიძე (52 კგ), რ. აბრამიშვილი, (57), ჯ. მეგრელიშვილი, თ. წინწალაშვილი, ი. ჯუღელი (სამივე — 62), ბ. ლეკვეიშვილი, ე. მაჩაიძე (ორივე — 68), თ. აფხაზავა, (74), ა. მინასიანი (90), ა. მაისურაძე (100.).

ბრწყინვალედ იჭიდავა ჯ. მეგრელიშვილმა, რომელმაც ტურნირი ერთი საჯარიმო ქულით დაამთავრა. მან ხუთი შერკინება წმინდად მოიგო და მხოლოდ ბელორუსიის ჩემპიონ კაზოვსკისთან დასჯერდა ქულებით გამარჯვებას (ეს შეხვედრა 8 ქულით მოიგო).

კარგი მებრძოლის თვისებები, ვაჟკაცობა და გამბედაობა გამოიჩინა ა. მაისურაძემ. იგი პირველივე წრეში დამარცხდა კიროველ ბოტკევთან, მაგრამ ყველა მომდევნო შეხვედრა ჩემპიონის სტილით ჩაატარა და დამსახურებულად დაიკავა I ადგილი.

თ. აფხაზავამ ერთადერთი ბრძოლა წააგო და ამის გამო III ადგილზე დარჩა. მან სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ქვეის ღირსი არიან ახალგაზრდები ვ. ბლაგიძე, თ. წინწალაშვილი და ე. მაჩაიძე, რომლებსაც IV ადგილები ერგოთ.

ც. ფცქიალაძე.



ხაშური

განათლების რაიონულმა განყოფილებამ ჩაატარა მოსწავლეთა პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. I ადგილები დაიკავეს: ლ. მოსეშვილმა (მე-4 სკოლა), თ. ტარიელაშვილმა (რკინიგზის მე-4 სკოლა), შ. გოცირიძემ (რკინიგზის მე-3 სკოლა), ჯ. ჭავჭავაძემ (რკინიგზის 25-ე სკოლა), ტ. ჭავჭავაძემ (ოსიაურის სკოლა), კ. გოცირიძემ (რკინიგზის მე-3 სკოლა), ზ. ზეინკლიშვილმა (64-ე პროფტექნიკური სასწავლებელი), დ. ჩუბინიძემ (რკინიგზის მე-3 სკოლა), გ. კიკაძემ (ხაშურის 1-ლი სკოლა), ვ. გელიაშვილმა (რკინიგზის მე-3 სკოლა).

ზ. მოსეშვილი.

ᲣᲙᲣᲜᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

Ვ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ

ისინი ორივენი დიდი ᲨᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘ არიან. ამიტომ თითოეულ მათგანს გონებაში, სულში, გულში რაღაც „თავისი ოცნების გუნდი“ უსის და შეძლებისდაგვარად ხვეწს მას. მაგრამ რარიგ სხვადასხვაგვარი გუნდებია ეს, ყველაფერი რომ გავითვალისწინოთ! სწორედ აქედან გამომდინარეობს „მშენებლობის“ სხვადასხვა მეთოდიც.

ბესკოვს ყოველთვის და ყველგან ჰყავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გამორჩეულები“. არა, ყველაზე ბეჯითი და გულმოდგინეები კი არა, კლასის დამრიგებლების მსგავსად, სამაგალითო მოწაფეები რომ ჰყავთ ხოლმე ამორჩეული. ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი რომ იყო, ბესკოვს გუნდის შემადგენლობაში მუდამ შეჰყავდა ვ. კოროლენკოვი და ვ. შუსტიკოვი. და თუ შუსტიკოვისთვის არ იყო ადგილი დაკვის ცენტრში, სადაც იგი „ტორპედოში“ მთელი ცხოვრება თამაშობს, ბესკოვი მას მარცხენა ფლანგზე აყენებდა. ყველას უკვირდა, ბევრი ბუზღუნებდა: ნუთუ კოროლენკოვზე ძლიერი ნახევარმცველები და შუსტიკოვზე ძლიერი მარცხენა მცველები არა გვყავსო? მაგრამ ბესკოვს ვითომ არ ესმოდა ყველაფერი ეს! კოროლენკოვი და შუსტიკოვი ნაკრებში რჩებოდნენ, რა ცვლილებაც უნდა მომხდარიყო. წარმოსახვა მას „თავის გუნდს“ უხატავდა, და ეს გუნდი შედგებოდა, ეტყობა, ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული მოთამაშეებისგან, რომელთაგანაც თითოეულს რაღაც თავისი განსაკუთრებული ღირსებები უნდა ჰქონოდა. ამ გუნდში კოროლენკოვისა და შუსტიკოვის თვისებებით დაჯილდოებულ ფეხბურთელებსაც ჰქონდათ გამოყოფილი ადგილი. და ორივენი მწვრთნელის მიერ „გამორჩეულნი“ იყვნენ.

სიტყვა „გამორჩეულნი“ ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს. კაცმა რომ თქვას, ბესკოვი არც ერთ ჩვენგანს არ გვეპყრობოდა ისე მკაცრად, როგორც იმ ორს. სწორედ მათ ხვდებოდათ ყველაზე მეტი ყოველი შეცდომისთვის. ახლა მე მესმის: მწვრთნელი ხედავდა მათს შესაძლებლობებს — ოღონდ არ ვიცი, მოჩვენებითს თუ ნამდვილს, — და წვალობდა, იტანჯებოდა, შრომობდა, ცდილობდა მიეღწია მიზნისთვის, რათა ეს შესაძლებლობები ბოლოს და ბოლოს გამოამკარავებულიყო.

ვფიქრობ, მასლოვს იდეალური გუნდი ასე ნათლად არ ჰყავდა წარმოდგენილი. იგი გონებაში ხატავდა არა იმდენად გუნდს, რამდენადაც იდეალურ მოთამაშეს. ამ მოთამაშისთვის საკალდებულო არ იყო ყველაფრის ერთნაირი წარმატებით კეთება, თუმცა, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა, რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა, მაგრამ აი, რა არ უნდა ჰქონოდა „მისი ოცნების ფეხბურთელს“, ეს მასლოვმა ზუსტად იცოდა. ყველაზე განთქმული, ყველასთვის საყვარელი მოთამაშის მიმართაც მასლოვს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ თავისთვის ცნობილი კრიტერიუმები და ეთქვა: „ეს არ არის მოთამაშე“. ამ სიტყვების შემდეგ ფეხბურთელის ბედი გადწყვეტილი იყო — სჯობდა მაშინვე დაეწყო სხვა გუნდში ადგილის ძებნა.

და თუ ბესკოვი ფეხბურთელების „გამორჩევაში“ ჯიუტობს, მასლოვი მოუდრეკელია ანტიპათიებში. ჭკუის კოლოფიც რომ იყო, მასლოვის გუნდში თამაში არ გიწერია, თუ, მისი გაგებით, „მოთამაშე არა ხარ“. მაგალითად, კიევის „დინამოში“ თავის დროზე მან არავისი პროტესტები არ შეისმინა, არავის წინააღმდეგობას არ გაუწია ანგარიში და უყოყმანოდ მოიშორა ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორიც იყვნენ კანეფსკი, ლობანოვსკი, ბაზილევიჩი.

რა წარმატებებსაც უნდა მიაღწიოს დიდ ფეხბურთში მოსულმა მწვრთნელმა, ცხოვრება მაინც მეტ შეხორცებულ თუ შეუხორცებელ ჭრილობას დატოვებს მის სხეულზე, ვიდრე ტიტულებითა და რეკალიებით დაჯილდოებს. ამ წესს ალბათ გამონაკლისი არა აქვს. ბესკოვს თავისი სურვილით არ გაუცლია „ტორპედო“ ცსკა-ზე, ცსკა — „ლოკომოტივზე“, „ლოკომოტივი“ — „დინამოზე“, მას თავისი სურვილით არ დაუტოვებია სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტი, სადაც თავი გამოიჩინა: მისი მუშაობის პერიოდში წელიწად-ნახევრის მანძილზე ნაკრებმა წააგო ერთადერთი მატჩი — ევროპის თასის გათამაშების ფინალი, წააგო ესპანეთის შესანიშნავ გუნდთან მისსავე მინდორზე და ბესკოვი გადადგა. მასლოვი „ტორპედოდან“ დაითხოვეს, როგორც კი მისმა გუნდმა, რომელმაც ერთა-წლით ადრე ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ასეთივე ბედი ეწია მას კიევის „დინამოშიც“, როშელიც მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სამ წელიწადს საკავშირო პირველობათა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურიდან არ ჩამოსულა.

დიახ, ცხოვრება არ ინდობს ჩვენს ძმებს (ახლა მე უფლება მაქვს თავი მწვრთნელთა რიცხვს მივაკუთვნო). ბევრისთვის მისი გაკვეთილები იმით მთავრდება, რომ ნელ-ნელა ეგუებიან ამას, პრინციპებს მსხვერპლად სწირავენ, სინდისს ღალატობენ, მრწამსს იცვლიან. რას იზამ, ვის უხარია ჯაუთავებელი მომთაბარეობა. ყველა ცდილობს სიბერეში წყნარი, მშვიდი ცხოერება ჰქონდეს. მასლოვი და ბესკოვი კი ბრაფრად აგდებენ გასაჭირს და, როგორც უნდა ემუქრებოდეთ ბედი, მაინც თავისი თავის ერთგულნი რჩებიან. ბესკოვს „თავისი ოცნების გუნდის“ დევნაში ისევ ჰყავს სულ ახალგაზრდა, ყველასთვის უცნობი მოთამაშეები და დიდი ფეხბურთის სარბიელზე გამოჰყავს მახოვიკოვი და კოტემიაკინი, დოლბონოსოვი და ეუკოვი, იაკუბიკი და ბაიდაჩნი, ფეხბურთელები, რომელთა შესახებ შეიძლება იკამათო, მაგრამ რომლებშიც ბესკოვი ჯერ მხოლოდ მისთვის ცნობილ ღირსებებს ხედავს. მასლოვი კვლავ გულარხეინად ეთხოვება ისეთ განთქმულ ოსტატებს, როგორიც არიან ბერშკოვიჩი, პაისი, იანეკი, ეთხოვება იმიტომ, რომ ისინი, მისებური გაგებით, „მოთამაშეები“ არ არიან.

ამაში ბესკოვი და მასლოვი ჰგვანან ერთმანეთს, ისევე როგორც ერთმანეთს ჰგავს ყველა ჭეშმარიტად დიდი მწვრთნელი, ყველა დიდი ნებისყოფის მქონე ადამიანი.

ამ მწვრთნელების თანმიმდევრულობაზე, თავისი, ეიახლოვ, ერთგულებაზე ფეხბურთელებისადმი ბევრ ვილაპარაკოთ. მათი ქცევის ხაზი — ეს მათი ხაზია ფეხბურთში. ორივენი ამ ხაზით ხელმძღვანელობდნენ, როცა „ტორპედოს“ ქმნიდნენ.

გასაგებია, ყოველ მწვრთსელს სურს თავის გუნდში რაც შეიძლება მეტი კარგი ფეხბურთელი ჰყავდეს. მაგრამ ერთნი ამჯობინებენ მზა ოსტატების მიწვევას, რომელებსაც უკვე სოლიდური სკოლა გაუვლიათ, მყარი რეპუტაცია და დიდი გამოცდილება აქვთ, ხოლო მეორენი დაკავებული არიან ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, გამოუცდელი, საინტერესო ფეხბურთელების ძებნით, რომელთა ნიჭიც ჯერ კიდევ „გაუხსნელია“. არ ღირს იმის ახსნა-განმარტება, რომ მეორე გზა პირველზე ბევრად რთულია. ტალანტის დანახვა ყველას როდი შეუძლია — დიდი რისკის გაწევაა საჭირო. თუნდაც სწორად გამოიცნო ნიჭი, ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ზაინც კარგი დიდხანს წვალება მოგიწევს.

სხვათა შორის, მწვრთნელთა უმეტესობა სიტყვით მეორე გზის მომხრეა, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხშირად უფრო იოლ გზას ირჩევს. მიზეზი იგივეა — მორიგი სამსახურის დაკარგვის შიში. და მწვრთნელი ყოველთვის ჭარობს. მათ, ვინც მწვრთნელი სამუშაოდ მიიწვია, ცდა არ უნდათ. გამარჯვებები და ქულები მათ დღეს სჭირდებათ და არა ხვ. თუ ეს ქულები არ იქნა, მწვრთნელი ათვალწუნებულია. ხოლო ჩემპიონატში გუნდის ასე თუ ისე ახალანი არსებობის უზრუნველყოფა და ქულათა გაჭირვებით საკმარისი მარაგის დაგროვება მხოლოდ გამოცდილ მოთამაშეებს შეუძლიათ, თუნდაც მომავალში მათგან არაფერს ველოდეთ. მწვრთნელსაც ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვეცსა ურჩევნია.

ასე რომ, როცა პირველი გზის მომხრედ ასაღებს თავს, მწვრთნელი არ ტყუის გულის ხიღრმეში ამ მწვრთნელს სჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს მისი დროც დადგება. მისი აზრით, ახლა თუ გაუძლო, მერე ძალედავს „თავის“ გუნდს, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობს. და როცა თავის კლუბს ქულებს მატებს, მწვრთნელი დუღლიერთა შემადგენლობაში ზრდის ორ-სამ ჭაბუკს, რომლებსაც შორეული მომავლის სანუკვარ გეგმებს უკავშირებს.

მაგრამ, როგორც პოეტმა თქვა: „დაგვბედია მშვენიერნი გატაცებანი, თუმც აღსრულება არც ერთ მათგანს არ უწერია“. ქულები შემდეგ სეზონშიც არანაკლებ საჭიროა. მწვრთნელი რეფორმებს სულ მომავლისთვის დებს. ახალგაზრდები აღარ არიან ახალგაზრდები, პერსპექტიულები უპერსპექტივოებად იქცევიან, ანდა სხვა გუნდებში მიდიან, და მწვრთნელი თავის ძველ ოცნებებს სულ უფრო იშვიათად იხსენებს.

ბესკოვმა და მასლოვმა კი ყოველთვის იცოდნენ ოცნება და ოცნებისთვის ბრძოლა. მათ იციან და უყვართ ახალგაზრდების აღზრდა. ალბათ შემთხვევითი რიდია, რომ, სანამ „ტორპედოს“ ჩაიბარებდნენ, ორივენი იმ დროისთვის დიდად განთქმულ ასს-ში — მოსკოვის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში მუშაობდნენ. სწორედ მათი იქ მუშაობის წლებში აძლევდა ჩვენს ფეხბურთს ეს სკოლა მშვენიერ მოთამაშეებს. მათგან ნაწილი „ტორპედოში“ გამოჰყვა მწვრთნელებს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64.

საქართველოს ᲩᲘᲛᲬᲘᲚᲝᲑᲐ

გიამართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● დიმიტროვის სახ. ქარხანა (თბილისი) — „ვარძია“ (ახპინძა) 1:2. მსაჯი ო. ჭელაშვილი (რუსთავი).

მატჩის პირველი ნახევარი ერთობ უინტერესოდ მიმდინარეობდა, თავდამსხმელები იშვიათად თუ აღწევდნენ მოპირდაპირე საჯარიმო მოედნამდე. შესვენების შემდეგ თამაში გამოცოცხლდა და 64-ე წუთზე ახპინძელმა ხარატურიანმა გახსნა ანგარიში. მალე თბილისელები იერიშზე გადავიდნენ, რასაც თაბაგარის საპასუხო გოლი მოჰყვა, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ფართლაძის ზუსტმა თავურმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა „ვარძიას“.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილება მიეცათ ახპინძელ მოთამაშეებს ტ. გელაშვილსა და რ. ნარიმანიძეს.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:1. მსაჯი ვ. ეჯობია (თბილისი).

მასპინძლებს ორივე ტაიმში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ და გოლის გატანაც შეეძლოთ, თუმცა ვერ გამოიყენეს საამისოდ საუკეთესო შესაძლებლობანი. სამაგიეროდ, ცხაკაიელმა ჯოჯუამ კარგად ისარგებლა მოწინააღმდეგე დაცვაში დაშვებული შეცდომით და 35-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცათ ცხაკაიელებს რ. ნიკოლაიშვილსა და ლ. დარასელიას.

● ასკ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ციათურა) 0:0. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).

წესრიგის დარღვევის ფაქტები ამ მატჩშიც იყო. დროის განზრახ გაჭიანურებისთვის გაფრთხილებულია ციათურელი მ. აბაშიძე, ხოლო უსამბისთვის — არმიელები ი. ოგანეზოვი და მ. უსუნიანი.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● „შეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კახეთი“ (თელავი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მეტალურგებმა კარგად ითამაშეს და მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს ჯერ კიდევ შესვენებამდე ქათამაძისა და ბოჭორიშვილის მიერ გატანილი გოლების წყალობით.

● „დინამო“ (ხიხუმი) — „ევერია“ (ხაშური) 0:1. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

შეიძლება ითქვას, რომ სიხუმელებმა ეს მატჩი თითქმის მთლიანად მოწინააღმდგის ნახევარზე გაატარეს, თამაში დროდადრო ცალ კარში მიმდინარეობდა, მაგრამ ამ უპირატესობას სიხუმელთათვის ხარგებელი არ შოუცია. 65-ე წუთზე „ევერიის“ ერთ-ერთი კონტრშეტევა ჩაავამ გოლით დაამთავრა და დინამოელებმა ქულის აღებაც კი ვერ შეძლეს.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილება მიეცათ ხაშურელ ფეხბურთელებს გ. მელაძეს და თ. კობერიძეს.

● „სულორი“ (ვანი) — „ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა თბილისელთა მცველმა ნადირაძემ. საპასუხო ბურთი მეორე ტაიმში გელდიაშვილმა გაიტანა.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „ქოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ტყიბულელებმა მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარეს მატჩი, თუმცა დასჯერდნენ აბაშიძის მიერ გატანილ ერთადერთ ბურთს.

● „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

რუსთაველთა შორის თავი გამოიჩინა ალადაშვილმა: „სპარტაკის“ კარში გატანილი ორივე ბურთი მას ეკუთვნის.





ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲙᲝᲢᲚᲘᲐᲠᲨᲘ დამთავრდა გდრ-ის ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა 20 წლის კნაკამ — 14,5 ქულა. II-IV ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ულმანმა, რესპუბლიკის წარმადგენელმა ჩემპიონმა მალიხმა და მიულერმა — 13,5-13,5.

ქალთა შეჯიბრებაში, რომელშიც 14 მოჭადრაკე თამაშობდა, ჩემპიონი გახდა 15 წლის პეტრა ფაისტელი — 10 ქულა. ფაისტელმა წლეულს გაიმარჯვა გდრ-ის გოგონათა და ქალიშვილების ჩემპიონატებშიც. ფაისტელი გდრ-ის პირველობათა ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია.

II ადგილი დაიკავა ცნობილმა ოსტატმა ნიუნერტმა — 9,5. III ადგილზეა ჰოლცლაინი — 8,5.

ᲜᲘᲣᲜᲔᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

იუგოსლავიელმა პროფესორმა ა. სურლანმა გამოიგონა ავტომატური ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია საჭადრაკო პარტიაში გაკეთებული სვლა და სათუნე ნაჩვენები დრო ხმამაღლა გამოაცხადოს. ამჟამად ავტომატი გერმანულად „ლაპარაკობს“. სხვა ენებზე მისი „ამეტყველება“ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ამ ავტომატის გამოყენება ყველაზე მიზანშეწონილია უსიხათლო მოჭადრაკეთა ტურნირში.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲓᲘᲡ

ᲡᲝᲩᲘ, 1 აპრილი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა საწვრთნელი მატჩი გამართა — მისი მეტოქე მოსკოვის „ტორპედო“ იყო.

ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს ბლოხინმა, ყიფიანმა (პენალტით) და შეპელმა. ერთადერთი საპასუხო გოლი ეკუთვნის ესკოვს.

სსრ კავშირის ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: პილგუი, ძოძუაშვილი, ოლშანსკი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, მუნტიანი (ზანაზანიანი), მაჩაიძე, ვერშეევი, შეპელი, ფედოტოვი, ბლოხინი (ყიფიანი).



ᲒᲠᲐᲞᲖᲘᲚᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲓᲔᲑᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ

ᲠᲘᲝ ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ, 1 აპრილი. ბრაზილიის ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა მექსიკის ეროვნულ გუნდთან „მარაკანას“ სტადიონზე. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (1:1). მასპინძელთაგან გოლი გაიტანა ჟაირზინიომ.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტისთვის ასეთი ანგარიში მექსიკის გუნდთან, რა თქმა უნდა, არადამაკმაყოფილებელია. საქმის ვითარებას ერთგვარად ნათელს ჰფენს ბრაზილიელთა მწვრთნელის მ. ზაგალოს სიტყვები, რაც მან ჟურნალისტებთან გამოთქვა მატჩის შემდეგ. მწვრთნელმა თქვა, რომ ეძებს ახალ შემადგენლობას, ცდის ახალგაზრდა მოთამაშეებს. მისი მთავარი საზრუნავია თამაშის სისწრაფისა და შედეგიანობის ზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრიზი ფეტისოვმა მიიღო

საგზატკეცილო ველორბოლის მონაწილეებს ბედმა არც მესამე ეტაპზე გაუღიმა: წვიმამ და ტალახმა სავრძნოსლად გაართულა სპორტსმენთა მდგომარეობა, არადა, იმ დღეს უნდა გამოვლენილიყო საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრიზის მფლობელი და, ცხადია, სხვებზე მეტად უამინდობით ჯილდოს მთავარი პრეტენდენტები იყვნენ შეშფოთებული.

მაგრამ მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რბოლა რუსთავის გზატკეცილზე წითელ ხიდამდე და უკან საინტერესო და მძაფრი გამოდგა. საინტერესო იყო იგი ტაქტიკური თვალსაზრისით, ლიდერებმა სწორად გაანაწილეს თავიანთი შესაძლებლობანი, სხვებზე მეტად აქტიურობდნენ ტრასის ცალკეულ მონაკვეთებზე და ტონს აძლევდნენ რბოლას.

საბოლოო ჯამში დინამოელმა ვ. ფეტისოვმა იმარჯვა, მან ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე გადაკვეთა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სპარტაკელი ი. რთველიაშვილი და გამარჯვებულის თანაკლუბელი ა. ცხოვრებაძე.

სამწუხაროდ, მესამე ეტაპის სტარტი არ მიიღეს თბილისში სტუმრად მყოფმა გდრ-ის ველოსიპედისტებმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ვ. ოტოს მეთაურობით, აგრეთვე, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებმა. მათი ყოფნა უდავოდ ლაზათს შემატებდა ბრძოლას, მაგრამ სტუმრები იმ დღეს უსათუოდ უნდა წასულიყვნენ ჩვენი დედაქალაქიდან.

სამი ეტაპის ჯამში გამარჯვება და მასთან საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრიზი მიეკუთვნა ვ. ფეტისოვს, რომელმაც 56 ქულა დააგროვა. II ადგილი წილად ხვდა ი. რთველიაშვილს (30 ქულა), III — არმიელ ს. სარქისოვს (23 ქულა).

ნ. ახვლედიანი.

* * *



სურათებზე: მესამე ეტაპის მონაწილენი დისტანციაზე; მთავარი პრიზის მფლობელი ვ. ფეტისოვი.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.

ისწავლეთ ცურვა!

ხოვალდ ნაპირის მახლობლად უბედურება შეემთხვა. დამხმარენი 45 წუთში იქ გაჩნდნენ, მაგრამ ზღვაზე უკვე აღარავინ ჩანდა. ცურვის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის მონაცემებით, წყალი ყოველწლიურად 250-დან 300 ათასამდე ადამიანის სიცოცხლეს იწირავს.

ხალხო, ისწავლეთ ცურვა! ამისკენ მოგვიწოდებს ახალი კინოფილმი „ადამიანი და წყალი“, რომელიც დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შექმნეს რეჟისორმა ვ. სოფრონოვმა და ოპერატორმა ი. ეგოროვმა ა. ლივშინის სცენარის მიხედვით.

აი, ეკრანზე გამოჩნდა საბჭოთა ქვეყნის ყველაზე ნორჩი მოცურავე. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ცურვაში, მოსკოველმა ლ. პარშინმა თავის ვაჟს არტურს ცხრა დღიდან დაუწყო წვრთნა. ბავშვს ჯერ არც სიარული შეუძლია, არც ფეხზე დგომა, მაგრამ წყალს უკვე შეეჩვია და სულაც არ ეშინია მისი. აი, გოგონაც. იგი ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა, მაგრამ უკვე დაუხმარებლად ჩერდება წყლის ზედაპირზე.

ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ადამიანს შეუძლია ცურვა უფრო ადრე ისწავლოს, ვიდრე დგომა. და მას წყლისა არასოდეს შეეშინდება. ჩვენი შორეული წინაპრები ცურვას ადამიანისთვის ისევე ბუნებრივად თვლიდნენ, როგორც ხმელეთზე სიარულს. განუვითარებელ ადამიანზე ძველი ბერძნები ამბობდნენ: არც წერა-კითხვა იცის, არც ცურავო.

ადრეული ასაკიდან ცურვის მასობრივად სწავლების იდეა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელდა. საბჭოთა კავშირში ამ პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის აუზები შენდება დიდ სპორტულ კომპლექსებთან, საწყლოსნო სპორტის სასახლეებთან, სპორტულ ბაღებში.

ეკრანი გვიამბობს, რომ ქვეყნის ბევრ ქალაქში ჩვეულებრივ ამბად იქცა ცურვის სწავლება 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.

მცდარია ის აზრი, რომ საკმარისია ადამიანი წყალში ჩააგდო და ცურვას თავისით ისწავლის. პირიქით, ამით შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ დავაშინოთ ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, და სავბოლოოდ შევაძულოთ მას წყალი. მწვრთნელები და პედაგოგები უნდა ზრუნავდნენ, რომ ცურვა რაც შეიძლება მეტ ბავშვს შეასწავლონ. ცურვა ყველამ უნდა იცოდეს. ცურვის მცოდნეს შეუძლია წყალში გასაჭირის დროს არა მარტო თვითონ უშველოს თავს, არამედ სხვებიც გადაარჩინოს.

გ. რატომსკაია.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

„ლიბერალიზმი“ საექსპორტოდ

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასიზმის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა აპოლოგეტი, სპორტის მინისტრი პიტ კორნჰოფი სრულიად მოულოდნელად მთელი 180 გრადუსით შემობრუნდა და ყველას აგრძნობინა, რომ შეუძლია სანქცია მისცეს ერთ ძეჯიბრებაში თეთრკანიანი და ფერადკანიანი სპორტსმენების ერთად გამოსვლას. იგულისხმებოდა ტრადიციული მარათონული გარბენი პიტერმარიცბურგიდან დურბანამდე, რომელზეც ახლა დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი. მართალია, გადასაჭრელია მხოლოდ ერთი პრობლემა: განაცხადონ თუ არა თანხმობა თეთრკანიანთა და ფერადკანიანთა ერთად გამოსვლაზე. მოწინააღმდეგეთა არგუმენტაცია, პირდაპირ უნდა ითქვას, უსუსურია და მხოლოდ მათს გონებადახშულობას მოწმობს. „53 წელია ასეა, — ჯიუტად იმეორებს მარათონის ერთ-ერთი ორგანიზატორი უიკ უინი, — ამ შეჯიბრებაში მხოლოდ თეთრკანიანები მონაწილეობენ“...

მაგრამ არ იფიქროთ, რომ კორნჰოფი სხვა ბანაკს ეკუთვნის. მთელი მისი მოჩვენებითი დემოკრატიზმი გათვალისწინებულია მხოლოდ „საექსპორტოდ“.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სპორტის მინისტრი ფერადკანიანთა და თეთრკანიანთა ერთად გამოსვლაზე თანახმა იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შეჯიბრებაზე... უცხოელები ჩამოვლენ. კორნჰოფის ჩანაფიქრით, უცხოელმა სტუმრებმა მთელ მსოფლიოს უსაბა მოჰფინონ რასისტთა ქვეყანაში „ლიბერალიზმის“ გამეფებისა და ლამის აპარტეიდის დამხობის ამბავი.

მართალია, ჯერ არ არის დაზუსტებული ამ შეჯიბრებაში ფერადკანიან სპორტსმენთა მონაწილეობის პირობები. შეიძლება მათთვის ავტოსტრადის ნაწილი გადაღობონ და დაკიდონ წარწერა: „მარტო ფერადკანიანებისთვის!“...

დღემდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები მხოლოდ ერთხელ წვიდნენ დათმობაზე: თავიანთს ქვეყანაში თეთრკანიანებთან ერთად ასპარეზობის უფლება მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს, ზანგ ჩოგბურთელს არტურ ეშს. მაგრამ ეს იყო მხოლოდ რეკლამა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ეშმა ილაპარაკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებულ წესებზე და ქვეყნის ძირითადი მოსახლეობის ჩაგვრაზე. მაგალითად, საჩოგბურთო ტურნირის დროს მაყურებლები, დაპირების საწინააღმდეგოდ, ცალ-ცალკე ისხდნენ თეთრკანიანებისა და ფერადკანიანების სექტორებში.

მაგრამ რაში სჭირდება კორნჰოფს მარათონთან დაკავშირებული ახალი სპექტაკლი? რასისტები რცენბობენ ოლიმპიურ მოძრაობაში დაბრუნებაზე, საიდანაც ისინი გამოაძევეს, და ახლა აღარ იციან, როგორ დაუმტკიცონ ხალხს, სპორტში პოლიტიკა შეეცვალეთო. ისინი ცდილობენ რაღაც არგუმენტები მაინც მისცენ თავიანთს ვეკილებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში და სხვა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ხოლო ფერადკანიანი მოსახლეობისთვის ნამდვილად თანასწორი უფლებების მინიჭება ქვეყნის ხელისუფალთაგან აზრადაც არავის მოსდის.

ი. ხრომოვი.

სურათზე: ჯ. ფორმენი.
„ მორნინგ სტარის“ ფოტო.

ფიქრები ოლიმპიურ ოლიმპიურ

სექტემბერს დაველოდოთ...

როგორც უკვე ვწერდით, 26 მარტს ვეხესუელის დედაქალაქ კარაკასში მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ჯორჯ ფორმენმა (აშშ) დაამარცხა თანამეგობაელი კენ ნორტონი და თავისი ტიტული შეინარჩუნა.

ახლა უფრო დაწვრილებით გიამბობთ ამ ბრძოლის შესახებ. შეხვედრას 9 ათასი ადაურებელი დაესწრო, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები ძალიან ძვირი ღირდა. ამას გარდა, მატჩს ტელევიზიის დახურული არხით გადასცემდნენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. პირველი რაუნდი მოკრივეებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, მეტად აგრესიულად დაიწყეს და ერთმანეთს სეტყვასავით დაუშიხეს ძლიერ მუშტები. ფორმენის მარცხენა ჭუჭმა ნორტონი ბაგირებს მიაჯაჭვა და მატჩის რეფერიმ ჯიმი რონდომ ხოდაუნი ჩათვალა. მას რვამდე დასჭირდა დათვლა, სანამ მეტოქეხი კვლავ შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ნორტონს თურმე კიდევ უფრო შავი დღე ელოდა. ფორმენმა იგი თავში და სხეულზე უძლიერესი დარტყმებით კიდევ ერთხელ ჩააგდო ნოკდაუნში.

მეორე რაუნდის დაწყებიდან სულ 1 წუთი და 43 წამი იყო გასული (ეს რამდენიმე წამით ნაკლებია იმ დროზე, რაც ამჟამინდელმა მსოფლიო ჩემპიონმა 14 თვის წინათ ჯო ფრეზიერის დამარცხებას მოანდომა), როცა ფორმენმა მეტოქეს ზედიზედ დააყარა ჯერ მარცხენა ჭუკი, მეორეგვერდ კი პირდაპირი დარტყმა მარჯვენა ხელით, რის შემდეგაც ნორტონი იატაკზე გაიშხლართა. რეფერის კვლავ რვამდე დათვლა დასჭირდა, სანამ ნორტონი ფეხზე წამოდგებოდა და, როცა მას ამოვრეულ თვალებში ჩახედა, ბრძოლა შეწყვიტა. გამარჯვება ფორმენს მიეკუთვნა.

დარბაზში გაისმოდა შეძახილები: „წინ კინშასაა!“ საქმე ისაა, რომ, როგორც უკვე გამოცხადდა, სექტემბერში ზაირის დედაქალაქში ფორმენმა თავისი ტიტული უნდა დაიცვას მუჰამედ ალისთან შეხვედრაში. ორივე მოკრივემ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტებს. ბრძოლის საპრიზო ფონდი სარეკორდოა — თითოეული მოსაწილე 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ იმ საღამოს ფორმენით თითქმის ყველა აღტაცებული დარჩა, ალის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ანჯელო დუნდიმ თქვა: „როცა ფორმენ — ნორტონის ბრძოლის ჩატარება გადაწყდა, მაშინვე ვიცოდი, რომ ნორტონი ჩემპიონს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ალისთან სულ სხვაგვარად იქნება საქმე. მუჰამედი იოლად დაამარცხებს ფორმენს. დღეს მე აღტაცებული არ დავრჩენილვარ ჩემპიონით.

ჯიმი რონდოს აზრი ასეთია: „ალი გაიმარჯვებს, რადგან ის კლასიკური მოკრივეა“.

ისღა დაგვრჩენია, სექტემბრის მატჩს დაველოდოთ.

საკუთარი ინფორმაცია

საჯელი ეროვნული

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04546